

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N004/20¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ზურა ფარქოსაძე (სტუდენტი)

შეკითხვა

ერთ-ერთ კერძო კომპანიაში იურისტის პოზიციაზე მუშაობის პერიოდში ადვოკატი აწარმოებდა კლიენტის საქმეს სესხის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე და სამართლებრივ რჩევებს აძლევდა მას. კომპანიიდან წასვლის შემდგომ, ადვოკატი ჩაერთო სამართლებრივ დავაში ყოფილი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლად იმავე სესხის ხელშეკრულების საქმეზე, რომელთანაც მას წინათ ჰქონდა შეხება. მოცემულ შემთხვევაში, დაიღვევა თუ არა ეთიკური ვალდებულებები ადვოკატის მიერ?

ანალიზი

პროფესიაში შესვლისთანავე, ადვოკატთა ასოციაციის წევრზე ვრცელდება ყველა ის უფლებები და ვალდებულებები, რაც ადვოკატის სტატუსიდან გამომდინარეობს. იურისტად მუშაობის პერიოდში ადვოკატი ატარებს თავის სტატუსს და შესაბამისად, ის უნდა მოქმედებდეს ეთიკური ნორმების ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი იურისტის პოზიციაზე მუშაობისას აწარმოებდა საქმეს სესხის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით. საქმიანობის ფარგლებში ადვოკატმა კლიენტისაგან მიიღო გარკვეული ინფორმაცია, რაც დაცულია კონფიდენციალობის პრინციპით. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება შესაძლოა სასარგებლო იყოს მისი ახლანდელი კლიენტისათვის, რა დროსაც საფრთხე ექმნება ყოფილი კლიენტის ინტერესებს. სხვა კლიენტების წარმომადგენლობისას ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხეები მიღებული პროფესიული საიდუმლოების გათვალისწინებით.

დასკვნა

კომპანიაში იურისტის პოზიციაზე მუშაობის დროს, ადვოკატზე ვრცელდება ეთიკური ვალდებულებები. მოცემულ შემთხვევაში, არსებობს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნისა და კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევის საფრთხე.

¹ <https://gba.ge/pdf/5edba7b04cb0b.pdf/zeperi%20004.20.%2010.02.20.pdf>